



ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-65.65212164

თარიღი:04/08/2021

**ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში
მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და
საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი
საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე**

1. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილ იქნას მუნიციპალური საკუთრების შემდეგი ობიექტები:

1.1. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშოში მდებარე 14994 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.23.092);

1.2. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზედავანში მდებარე 114 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.02.22.078);

1.3. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 178 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.01.22.195);

1.4. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ექსკავატორი (D.L CATEPILLAR).

2. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი ფასი განისაზღვროს შემდეგნაირად:

2.1. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშოში მდებარე 14994 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.23.092), საწყისი საპრივატიზებო საფასური 23430 (ოცდასამი ათას ოთხას ოცდაათი) ლარი;

2.2. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზედავანში მდებარე 114 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.02.22.078), საწყისი საპრივატიზებო საფასური 5010 (ხუთი ათას ათი) ლარი

2.3. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 178 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.01.22.195), საწყისი საპრივატიზებო საფასური 9640 (ცხრა ათას ექვსას ორმოცი) ლარი;

2.4. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ექსკავატორი (D.L CATEPILLAR) 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.

4. ვანის მუნიციპალიტეტის მერმა (ა. გოგორიშვილმა) უზრუნველყოს საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებული ობიექტების პრივატიზება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ (გ. გოგიბერიძემ).

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

